



შპს „ნეოგაზი“

**ზესტაფონის რაიონში, სოფ. არგვეთას მიმდებარედ არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი
(ექსპლუატაციის პირობების ცვლილება)**

სკრინინგის ანგარიში

თბილისი, 2021 წელი

სარჩევი

1.	შესავალი	4
2.	ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	6
2.1	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა	6
3.	არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული საქმიანობა და ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები	8
3.1.1	არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღწერა	8
3.1.2	ადმინისტრაციული საოფისე შენობა	10
3.1.3	საშუალო წნევიანი გაზსადენი	11
3.1.4	აირსავსები საკომპრესორო სადგური	12
3.1.5	საკომპრესორო	12
3.1.6	ბუნებრივი აირის საცავები	13
3.1.7	ბუნებრივი აირის გაცემის სვეტები	13
3.1.8	თხევადი აირის რეზერვუარი და სვეტწერტილი	14
3.1.9	კლიენტთა მოსაცდელი ინფრასტრუქტურა	16
3.1.10	ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა	17
3.1.11	ობიექტზე არსებული სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა	17
3.1.12	ელექტრომობილების დამტენი სვეტი	20
3.2	პროექტის ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	20
3.	საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები	22
4.	ობიექტის მუშაობის რეჟიმი და დასაქმებულების რაოდენობა	22
5.	ობიექტის წყალმომარაგება	23
6.	ზემოქმედების შეფასება	23
6.1	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე	23
6.2	ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე	23
6.3	ჩამდინარე საწარმოო, სამეურნეო და სანიაღვრე წყლების მართვა	24
6.4	ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე	24
6.5	ფუჭი ქანების წარმოქმნა და მისი მართვა	24
6.6	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	25
6.7	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	25
6.8	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	25
6.9	ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა	25
6.9.1	საყოფაცხოვრებო ნარჩენები	25
6.9.2	რეზერვუარების და საწვავის გაცემის წერტილების მოწყობის პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები	26
6.9.3	სახიფათო ნარჩენები	26
6.10	ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება	27
6.10.1	არსებულ გაზგასამართ სადგურზე გაფრქვევის წყაროების დახასიათება	27
6.10.2	ემისიების სახეები და რაოდენობები დაგეგმილი ნავთობროდუქტების რეზერვუარის და გაცემის წერტილების ფუნქციონირებისას	30
6.10.3	კუმულაციური ზემოქმედება	32
7.	დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	34

8.	დანართი 2 - საწარმოს განთავსების გენ.გეგმა გაფრქვევის წერტილების მითითებით.....	36
9.	დანართი 3 - საწარმოს განთავსების სიტუაციური რუკა მანძილების ჩვენებით.....	37
10.	დანართი 4 - საწარმოს ტექნოლოგიური სქემა.....	38
11.	დანართი 5 - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	39
12.	დანართი 6 - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება	41

1. შესავალი

შპს „ნეოგაზს“ ზესტაფონის რაიონში, სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე გააჩნია ავტო გაზგასამართი სადგური ბუნებრივი აირის საცავით, რომელიც მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწაზე. მიწის საკადასტრო კოდია: **32.03.34.139**, ხოლო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 7373 კვ.მ-ს.

კომპანიას, აღნიშნულ ობიექტზე, ბუნებრივი აირის საცავების ფუნქციონირების მიზნით გააჩნია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის N ი-891 ბრძანებით გაცემული N000182 (19.11.2015) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ამასთან, კომპანიამ აღნიშნული ნებართვა ჩაანაცვლა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-26 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (იხ. დანართი N6).

შესაბამისად, მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი, რომლის განახლებული ვარიანტი კომპანიას შეთანხმებული აქვს 2019 წელს.

ავტოგასამართი სადგური ამ ეტაპზე აწარმოებს მხოლოდ ბუნებრივი და თხევადი აირით ავტომობილების გამართვას და ნავთობპროდუქტების (საწვავის) გაცემის წერტილები არ გააჩნია.

აღნიშნული სადგურის ტერიტორიაზევე კომპანია გეგმავს ნავთობპროდუქტების გაცემის წერტილების დამატებას. ნავთობპროდუქტების გაცემის მიზნით დაგეგმილია 2 გასამართი სვეტის დამატება, თითოეული აღჭურვილი იქნება გაცემის 4 წერტილით. გათვალისწინებულია 4 ტიპის საწვავის: დიზელის, რეგულარის, პრემიუმის და სუპერის ტიპის საწვავის გაცემა.

შესაბამისად, დაგეგმილი პროექტი თითოეული წერტილის ნავთობით მომარაგების მიზნით ითვალისწინებს საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარების მოწყობას. სულ მოწყობილი იქნება 4 მიწისქვეშა რეზერვუარი, აქედან 2 რეზერვუარის მოცულობა ცალ-ცალკე იქნება 25 მ³, ხოლო 2 რეზერვუარის მოცულობა ცალ-ცალკე იქნება 20 მ³. რეზერვუარების ჯამური მოცულობა იქნება 90 მ³. რეზერვუარების მოცულობა წარმოდგენილია ცხრილში **N1**.

ცხრილი N 1 - საპროექტო ნავთობპროდუქტების რეზერვუარების მოცულობა

N	რეზერვუარი N 1 (რეგულარი)	რეზერვუარი N 2 (პრემიუმი)	რეზერვუარი N 3 (სუპერი)	რეზერვუარი N 4 (დიზელის საწვავი)
1	25 მ ³	25 მ ³	20მ ³	20მ ³
				სულ: 90 მ³

საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებულ გაზგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში. ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის და იმ საკონსულტაციო კომპანიის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის მომზადებაში მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N 2 – ინფორმაცია კომპანიების შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ნეოგაზი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N18
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	405037213
კომპანიის ხელმძღვანელი	ჭიაბერ ჭიაბრიშვილი
საქმიანობის სახე	არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ზესტაფონის რაიონი, სოფ. არგვეთას ტერიტორია
საკონსულტაციო კომპანია	შპს „ა.მ კონსალტინგი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	402087834
იურიდიული და ფაქტიური მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	577 38 01 13

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

2.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა შპს „ნეოგაზს“ ზესტაფონის რაიონში, სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე გააჩნია ავტო გაზგასამართი სადგური, რომელიც მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: **32.03.34.139**.

საპროექტო ტერიტორიაზე ამ ეტაპზე მოწყობილია და ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური. ტერიტორია მოასფალტებულია, თავისუფალია მცენარეული საფარისგან.

საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1 კილომეტრით. უახლოესი დაცული ტერიტორია აჯამეთის ადკვეთილი მდებარეობს 4 კმ მანძილზე, ხოლო სსიპ „სატყეო სააგენტოს“ მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი მდებარეობს 1 კილომეტრში. ამასთანავე, მდ. ჩოლაბური დაშორებულია 235 მეტრით.

მოქმედი გაზგასამართი სადგური მდებარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძის დამაკავშირებელი ავტობანის გზის მიმდებარედ. ობიექტის სრული ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში **N3**.

ცხრილი N3 - GPS კოორდინატები

N	X	Y
1	331720.41	4668268.175
2	331719.474	4668265.665
3	331709.263	4668268.241
4	331708.796	4668266.759
5	331651.369	4668333.542
6	331656.454	4668335.04
7	331653.766	4668344.263
8	331656.12	4668345.045
9	331687.935	4668364.685
10	331717.285	4668386.115
11	331767.11	4668341.03
12	331747.73	4668313.435
13	331730.975	4668287.48



სურ. N 1 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა



სურ. N 2 - ობიექტის განთავსების ტერიტორია

3. არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული საქმიანობა და ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

3.1.1 არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღწერა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის N ი-891 ბრძანებით გაცემული N000182 (19.11.2015) გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და მომზადებული გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სადგურის ფუნქციონირებისთვის ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ობიექტები:

- საშუალო წნევიანი გაზსადენი;
- საკომპრესორო;
- ბუნებრივი აირის საცავის ორი კომპლექტი (გარე და შიდა რესივრები);
- აირის გასაცემი სვეტწერტილები;
- საოფისე-საოპერატორო შენობა;
- საკომპრესორო ზეთის საწყობი;
- ზეთშემკრები მიწისქვეშა რეზერვუარი (2 ტ. ტევადობის);
- ჭაბურღილი წყლის მისაღებად;
- წყლის სამარაგო რეზერვუარი (2 ტ. ტევადობის);

- სახანძრო წყლის რეზერვუარი (10 ტ. ტევადობის) და მასთან დაკავშირებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- საპირფარეშო, რომელიც დაკავშირებულია ჰერმენტულ საასენიზაციო ორმოსთან;
- ელ.ენერგიის სატრანსფორმატორო ჯიხური;
- მეხამრიდები.

აღსანიშნავია, რომ გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით იგეგმება არსებული ინფრასტრუქტურის უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც დაკავშირებული არ არის ექსპლუატაციის პირობების არსებით ცვლილებასთან. კერძოდ, დაგეგმილია:

- სახანძრო წყლის რეზერვუარის გადატანა გარე რესივერების გვერდით არსებულ შენობაში, სადაც ასევე განთავსებულია წყალმომარაგების რეზერვუარი.
- გამომდინარე იქიდან, რომ ობიექტზე არ ხდება დიდი რაოდენობით ზეთების დასაწყობება და მხოლოდ 200 ლ ტევადობის კასრში ხდება საკომპრესორო ზეთების შენახვა, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ზეთების საწყობის გადატანა მის მიმდებარედ არსებულ შენობაში, სადაც მოწყობილია დაღვრის თავიდან აცილებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.
- გაზგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პროცესში, რელიზებული გაზის რაოდენობიდან გამომდინარე, სადგურზე არსებული რესივერების სრულად გამოყენების საჭიროება აღარ დგას, რის შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, საკომპრესორო შენობაში ერთი კომპლექტი (შიდა რესივერები), რომელიც წარმოდგენილია 18 მ³ მოცულობის 12 ერთეული აირბალონით (200 ატმ. წნევის პირობებში საერთო ტევადობა - 216 მ³), გაიტანოს სადგურის ტერიტორიიდან, ყოველგვარი ტექნოლოგიური ცვლილების გარეშე. მისი დემონტაჟი განხორციელდება უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით და გატანილი იქნება ტერიტორიიდან სხვა გაზგასამართ სადგურზე შემდგომი გამოყენების მიზნით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაგეგმილი ცვლილებები მნიშვნელოვან სამუშაოებთან დაკავშირებული არ არის და მის განხორციელების დროს არანაირი ზემოქმედება არ მოხდება გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე.

ამდენად, მომავალში გაზგასამართი სადგურის შემადგენლობაში იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:

- ადმინისტრაციული საოფისე შენობა;
- საკომპრესორო 2 კომპრესორით;

- კლიენტთა მოსაცდელად ცალკე ინფრასტრუქტურა შესაბამისი გადახურვით და აღჭურვილობით (მაგიდა, სკამები);
- ბუნებრივი აირის გარე საცავი;
- ზეთების საცავი;
- ბუნებრივი აირის გასაცემი 2 ცალი ორმხრივი სვეტწერილი, 4 „პისტოლეტით“, შესაბამისი გადახურვით;
- ჭაბურღილი წყლის მისაღებად;
- სახანძრო წყლის სამარაგო რეზერვუარი დაკავშირებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემასთან;
- სველი წერტილი დასაქმებულებისთვის და გარეშე პირებისთვის;
- ელექტრო ენერჯის სატრანსფორმატოროო ჯიხური;
- მეხამრიდები;
- ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი;

გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია მიწისქვეშა ლიცენზირებული ჭაბურღილი წყლის რეზერვუარის შესავსებად, საშუალო წნევანი გაზსადენი და ასევე, ზეთშემკრები მიწისქვეშა სისტემა.

ამასთან, ობიექტის შემადგენლობაში შედის ელექტრომობილების დამტენი სვეტი და უზრუნველყოფილია შესაბამისი განათებით.

ობიექტის შემადგენლობაში ასევე შედის თხევადი თხევადი აირის რეზერვუარი და 1 ცალი ორმხრივი სვეტწერილი, 2 „პისტოლეტით“, რომელიც ობიექტის შემადგენლობაში შევიდა მოგვიანებით და შესაბამისად, თხევადი აირის გაცემის საკითხი გათვალისწინებულია „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულია 2019 წელს.

3.1.2 ადმინისტრაციული საოფისე შენობა

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე, ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია ადმინისტრაციული შენობა, რომელიც მოიცავს როგორც ოფისისთვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურას ასევე იქ განთავსებულია საოპერატორო.



სურ. N 3 - ოფისის შენობა

3.1.3 საშუალო წნევიანი გაზსადენი

გაზგასამართ სადგურზე ბუნებრივი აირის მიწოდება ხდება ადგილობრივი გაზსადენის ქსელის მთავარი მაგისტრალიდან, რომელიც სადგურს უკავშირდება $\varnothing=100$ მმ ლითონის გაზსადენით. ავარიული სიტუაციების შემთხვევაში და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს გაზსადენში ბუნებრივი აირის ნაკადის შეწყვეტის მიზნით ტრასის რამდენიმე ადგილზე გათვალისწინებულია ჩამკეტი ვენტილები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაზსადენის ბუნებრივი აირისგან დასაცლელად ტერიტორიაზე მოწყობილია 10 მ სიმაღლის განმქრევი მილი.



სურ. N 4 - გაზგასამართ ტერიტორიაზე შემომავალი გაზსადენი

3.1.4 აირსავსები საკომპრესორო სადგური

სადგურის მიმდინარე საქმიანობის მიზანია საშუალო წნევის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის მიღება, 200-220 ატმ წნევამდე დაჭირხვნა და შემდგომ ბუნებრივ აირზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისათვის გამოყენება.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო ხორციელდება 24–საათიანი რეჟიმით წელიწადში 330 დღე. სადგურის მუშაობის შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის მოწოდების დროებით შეწყვეტამ, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებმა და სხვა. საცავის მიმდინარე საქმიანობის მიზანია საშუალო წნევის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის მიღება, 220 ატმ წნევამდე დაჭირხვნა და შემდგომ ბუნებრივ აირზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისათვის გამოყენება. დღეღამის განმავლობაში ობიექტი საშუალოდ ემსახურება 500 ავტომანქანას.

3.1.5 საკომპრესორო

არსებული საკომპრესორო განთავსებულია მსუბუქი კონსტრუქციის შენობაში, სადაც დამონტაჟებულია უკრაინული წარმოების ორი კომპრესორი. ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის ერთი კომპრესორი სრულიად საკმარისია. მეორე კომპრესორი სარეზერვო დანიშნულებით გამოყენება.



სურ. N 5 - საკომპრესორო

3.1.6 ბუნებრივი აირის საცავები

სადგურის ტერიტორიაზე საკომპრესორო შენობის გვერდით ცალკე შენობაში დამონტაჟებულია შეკუმშული აირის აირბალონები, რომელიც წარმოდგენილია 80 მ³ მოცულობის 10 ერთეული აირბალონით (საერთო ტევადობით 800 მ³).

სადგურის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის საჭიროა მაღალი წნევის ბუნებრივი აირის კგ/სმ²) უწყვეტად მიწოდება ავტოგაზგასამართ სვეტებზე, რაც შესაბამისად გულისხმობს საკომპრესორო სადგურის სისტემატიურ მუშაობას. საკომპრესორო სადგურის უწყვეტი მუშაობა მკვეთრად ზრდის ავარიული სიტუაციების რისკს, კომპრესორების მნიშვნელოვანი დატვირთვის გამო. ამის თავიდან ასაცილებლად ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობას იღებს ბუნებრივი აირის საცავი, სადაც იქმნება გაზის გარკვეული მარაგი სისტემის უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირებისათვის.

საკომპრესორო სადგურში მეოთხე საფეხურზე დაჭირხნული გაზი მიეწოდება საცავს და იწყება მისი შევსება. როცა საცავში გაზის წნევა მიაღწევს 200-220 კგ/სმ² -ს (უტოლდება კომპრესორში არსებული გაზის წნევას) ავტომატურად იკეტება საცავზე მოწყობილი ვენტილი, ხოლო საკომპრესორო სადგური წყვეტს მუშაობას ვიდრე საცავში გაზის წნევა მინიმალურ ზღვრამდე არ დაეცემა. საკომპრესორო სადგურის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ კომპრესორსა და საცავს შორის რჩება დაჭირხნული გაზი, რომლის განტვირთვა აუცილებელია კომპრესორების ხელახლა ჩართვამდე. სისტემის განტვირთვისას გამოდევნილი გაზი ბრუნდება გაზსადენში. ბუნებრივი აირის დაჭირხვნის ყოველი ციკლი, სადგურის სრული დატვირთვით მუშაობისას (24 სთ-ის განმავლობაში), მეორდება რამდენჯერმე (გაზის რეალიზაციის პროპორციულად).

3.1.7 ბუნებრივი აირის გაცემის სვეტები

ბუნებრივი აირის გაცემის სვეტწერტილზე აირის მიწოდება ხდება როგორც საკომპრესოროდან, ასევე აირის საცავებიდან ლითონის მილსადენის საშუალებით.

ბუნებრივ საწვავ აირზე მომუშავე ავტომანქანა საწვავი აირით გაწყობა-გამართვისთვის დგება ავტოგაზგასამართი სადგურის გაწყობა-გამართვის სვეტთან; ამ სვეტის „პისტოლეტი“ უერთდება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ აირმიმღები სისტემის სპეციალურ კვანძს, იხსნება ავტომანქანაზე დამონტაჟებული აირმიმღები სისტემის ვენტილი, შემდეგ კი გაწყობა-გამართვის სვეტზე დამონტაჟებული აირის მიმწოდებელი ვენტილი, რის შემდეგაც იწყება ავტომანქანის გაწყობა-გამართვა – მისი აირის ბალონების შევსება საწვავი აირით. როგორც კი აირის წნევა ავტომანქანის აირის მიმღებ ბალონებში გახდება 200 კგ/სმ²-ის ტოლი, იკეტება გაწყობა-გამართვის სვეტზე არსებული მიმწოდი ვენტილი, შემდეგ კი ავტომანქანის აირმიმღების სისტემის ვენტილი. ამის შემდეგ ხდება „პისტოლეტი“-ს განქრევა. განქრევის პროცესში მაღალწნევიანი აირი, სვეტზე არსებული სპეციალური

ლითონის მილის საშუალებით ბრუნდება უკან, სისტემაში, ხოლო „პისტოლეტის“ ავტომანქანის აირმიმღები სისტემის სპეციალური კვანძიდან მოხსნის შემდეგ დარჩენილი დაბალწნევიანი აირის განქრევა ხდება ატმოსფეროში. ამგვარად, დაბალი წნევის მილგაყვანილობიდან აღებული და სათანადოდ შემზადებული ბუნებრივი საწვავი აირით ავტომობილთა გაწყობა-გამართვის აქ გამოყენებული ტექნოლოგია და ტექნიკურ პროცესთა ერთობლიობა პრაქტიკულად გამორიცხავს სადგურის ნორმალური რეჟიმით მუშაობისას ავარიულ სიტუაციებს და მისი სხვა რომელიმე ბლოკიდან ან უბნიდან საწვავი აირის (მეთანის) რამდენადმე მნიშვნელოვან გაფრქვევას.

ბუნებრივი აირის გაცემის სვეტი დღე-ღამეში ემსახურება საშუალოდ 500 ავტომანქანას.



სურ. N 6 – ბუნებრივი აირის გაცემის სვეტები

3.1.8 თხევადი აირის რეზერვუარი და სვეტწერტილი

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის ტერიტორიაზე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შემდეგ მოხდა თხევადი აირის გაცემის წერტილის დამატება. რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე. თხევადი აირის რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 10 მ³-ს, რომელშიც იტუმბება 4 ტონა თხევადი აირი. მასში გაზის ჩატუმბვა ხდება თხევადი გაზის მზიდი ავტომანქანიდან. თხევად გაზზე მომუშავე ავტომანქანა გაწყობა-გამართვისათვის ღებდა გაზგასამართი სისტემის გაწყობა-გამართვის სვეტთან: სვეტის სამარჯვი უერთდება ავტომანქანაზე დამონტაჟებულ მიმღები სისტემის სპეციალურ კვანძს, იხსნება ავტომანქანაზე დამონტაჟებული მიმღები სისტემის ვენტილი, რის შემდეგაც იწყება ავტომანქანის ბალონის შევსება თხევადი საწვავი გაზით: როგორც კი წნევა ავტომანქანაში მიაღწევს დადგენილ ნორმას, იკეტება სვეტის სამარჯვი ვენტილი, შემდგომ კი

ავტომანქანის საბარგულში მდებარე ვენტილი, ამის შემდგომ ხდება სამარჯვიდან მასში წნევის ქვეშ მყოფი გაზის ატმოსფეროში გაქრევა.

თხევადი აირის სვეტწერტილიდან დღე-ღამეში დაახლოებით 25 მანქანის გამართვა ხდება. საშუალოდ 1 ავტომობილში იტუმბება 30 ლიტრი გაზის საწვავი, რომლის გასაცემად საჭიროა 2 წუთი.

ობიექტის სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, რომელიც შეადგენს წელიწადში 330 სამუშაო დღეს, წლის განმავლობაში თხევადი აირის გაცემის წერტილი დაახლოებით ემსახურება 8 250 ავტომანქანას, რისთვისაც გამოიყენება 247 500 ლიტრი თხევადი აირის საწვავი ($8\ 250 \times 30 = 247\ 500$). თხევადი აირის გაცემისას კომპრესორის მუშაობის დრო შეადგენს 275 სთ/წელ ($8\ 250/2/60$).





სურ. N 7, 8 - თხევადი აირის რეზერვუარი და გაცემის სვეტწერტილი

3.1.9 კლიენტთა მოსაცდელი ინფრასტრუქტურა

შპს „ნეოგაზის“ გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური ინფრასტრუქტურა კლიენტების მოსაცდელად, აღჭურვილი შესაბამისი გადახურვით, მაგიდებით და სკამებით. მოსაცდელის ტერიტორია მობეტონებულია, მის გასწვრივ კი მოწყობილია მწვანე გაზონი.



სურ. N9 - კლიენტთა მოსაცდელი

3.1.10 ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა

ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია სახანძრო განგაშისა და ცეცხლადმომჩენი სისტემები, ასევე სახანძრო ჰიდრანტი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები და სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის მისაერთებლები.

ობიექტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდით და გააჩნია ხანძრის შემთხვევაში წყლის სამარაგო რეზერვუარი, რომლის შევსებაც მოხდება ობიექტზე არსებული ჭაბურღილიდან.



სურ. N10- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა

3.1.11 ობიექტზე არსებული სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა

არსებული გაზგასამართი ობიექტის ტერიტორია აღჭურვილია ყველა საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურით, როგორცაა: მეხამრიდი, საბურავებზე ჰაერის დამატების წერტილი, თანამედროვე სტილში მოწყობილი განათების სისტემა და ასევე კეთილმოწყობილი სველი წერტილები, როგორც დასაქმებულებისთვის, ასევე სტუმრებისთვის.



სურ. N11-მესამრიდი



სურ. N12 - ობიექტზე მოწყობილი სველი წერტილი



სურ. N13 - ობიექტის ტერიტორიაზე არსებული განათება



სურ. N14 - ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილი საბურავებზე ჰაერის დამატების წერტილი

3.1.12 ელექტრომობილების დამტენი სვეტი

ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია ელექტრომობილების დამტენი სვეტი, რომელიც დამონტაჟებულია „მ²-უძრავი ქონების“ და „E-space“-ს მიერ, მათ შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში.



სურ. N15 - ელექტრომობილების დამტენი სვეტი


3.2 პროექტის ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა და ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

დაგეგმილი პროექტი, არსებული ინფრასტრუქტურის უცვლელად, იმავე ნაკვეთის საკადასტრო კოდის ფარგლებში ითვალისწინებს შემდეგი ობიექტების დამატებას:

1. 4 ცალი მიწისქვეშა რეზერვუარი ნავთობპროდუქტების მისაღებად;
2. 2 ცალი საწვავის სვეტი, თითოეული 4 პისტოლეტით ნავთობპროდუქტების გასაცემად.

საწვავის რეზერვუარების განთავსება მოხდება მიწისქვეშა სარკოფაგში და სიცარიელები შევსებული იქნება ქვიშა-ღორღის წვრილი ფრაქციით. რეზერვუარების სასუნთქი სარქველების სიმაღლე იქნება $H = 3.0$ მ და დიამეტრი $D = 0.05$ მ. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებებით. ისინი ისე მოეწყობა მიწისქვეშ, რომ ავტომობილებმა ზემოდან იმოდრონ. საწვავის მიმღები და საჰაერო მიღები გატანილი იქნება სარეზერვუარო პარკის გვერდით უსაფრთხოდ ადგილას, ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებში.

საწვავის დისპენსერები მიწისქვეშა მილსადენების საშუალებით დაუკავშირდება საწვავის რეზერვუარებს. საწვავის რეზერვუარები იქნება ქარხნული წარმოების და შერჩეული იქნება ისეთი ტიპის, რომელიც გამოიყენება სპეციალურად საწვავის შესანახად. წინასწარი გათვლებით რეზერვუარები დამზადებული იქნება ლითონის ორმრიანი ფურცლით.



სურ. N16 - საწვავის ავზის მოწყობის სქემა

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით. ერთდროულად შესაძლებელია მოხდეს ორი სახის ნავთობპროდუქტის დიზელის და ბენზინის საწვავის მიღება და დაცლა რეზერვუარებში.

როგორც უკვე აღინიშნა 4 რეზერვუარიდან, თითოეული განკუთვნილი იქნება სხვადასხვა სახის საწვავისთვის, ესენია: დიზელი, რეგულარი, პრემიუმი და სუპერი. ამასთან მოსაწყობი რეზერვუარებიდან 2 რეზერვუარის მოცულობა ცალ ცალკე იქნება 20 მ³, ხოლო 2 რეზერვუარის მოცულობა ცალ-ცალკე 25 მ³. ჯამურად ოთხივე რეზერვუარის მოცულობა იქნება 90 მ³.

ობიექტი დღე დამეში საშუალოდ მოემსახურება 500 ავტომობილს და სავარაუდოდ დღე-ღამის განმავლობაში გაცემული იქნება დაახლოებით 10 ტონა ბენზინის და 8 ტონა დიზელის საწვავი.

რაც შეეხება, უშუალოდ რეზერვუარების და დამაკავშირებელი მილსადენის მოწყობის სამუშაოებს, იგი დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული არ არის. სპეციალური სანგრევი აპარატურის საშუალებით მოხდება ბეტონის საფარის მოჭრა, შესაბამისი ზომის ღრმულების მოწყობა, მზა რეზერვუარების ჩაწყობა, შესაბამისი მილსადენების მოწყობა სვეტებთან დასაკავშირებლად და ზედაპირის დაფარვა ისევ ბეტონის საფარით.

რეზერვუარებიდან საწვავის ამოღება მოხდება, სპეციალური ტუმბოს მეშვეობით, საიდანაც ავტომატურად მიეწოდება საწვავის გასამართ სვეტს. საწვავის გასამართი სვეტი, ასევე მოწყობილი იქნება არსებული გადახურვის ქვეშ, ბუნებრივი აირის გასამართი სვეტების მოპირდაპირედ.

სხვა დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ობიექტზე არ იგეგმება და გამოყენებული იქნება ობიექტზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურა.

3. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

შპს „ნეოგაზის“ არსებული გაზგასამართი სადგური მოწყობილია თბილისი-სენაკი-ლესელიძის დამაკავშირებელი ავტობანის გზის ნაპირზე. ობიექტის ტერიტორიაზე მოხვედრა ხდება ავტობანის საშუალებით. შესაბამისად, პროექტით დაგეგმილი ცვლილება ახალი მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოებს არ ითვალისწინებს.



სურ. N17 - მისასვლელი გზა

4. ობიექტის მუშაობის რეჟიმი და დასაქმებულების რაოდენობა

ობიექტის ამჟამინდელი სამუშაო რეჟიმი, მისი სფეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება 24 საათიანი, წელიწადში 330 სამუშაო დღით. დაგეგმილი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ახალი სვეტწერტილების დამატებას ნავთობპროდუქტების რეალიზაციის მიზნით, ობიექტის მუშაობის რეჟიმს არ შეცვლის და იგი დარჩება უცვლელი.

რაც შეეხება დასაქმებულების რაოდენობას, ამ ეტაპზე ობიექტზე დასაქმებულია 6 ადამიანი, ორ ცვლაში. ნავთობპროდუქტების გაცემის წერტილების დამატების შემდეგ დამატებით დასაქმებული იქნება 4 ადამიანი ორ ცვლაში. ობიექტზე დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა.

5. ობიექტის წყალმომარაგება

ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილიზირებული სახით, ხოლო რაც შეეხება ტექნიკურ წყალს, მისი ამოღება ხდება ობიექტზე არსებული მიწისქვეშა ჭაბურღილიდან. აღნიშნული მიწისქვეშა ჭაბურღილიდან შპს „ნეოგაზი“ წყლის მოპოვებას ახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2017 წლის 2 ოქტომბრის N 1569/ს ბრძანების შესაბამისად გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N1004936 (02.10.2017) საფუძველზე (იხ. დანართი N5).

6. ზემოქმედების შეფასება

6.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, აჯამეთის ადკვეთილი მდებარეობს 4 კმ მანძილზე, ხოლო სსიპ “სატყეო სააგენტოს” მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდი მდებარეობს 1 კილომეტრში. შესაბამისად პროექტით გამოწვეული ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე მოსალოდნელი არ არის.

6.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან. კომპანიის მიერ, ობიექტის გარშემო, განათების გასწვრივ და კლიენტთა მოსაცდელი ინფრასტრუქტურის გარშემო სპეციალურად მოწყობილია მწვანე გაზონი.

აქედან გამომდინარე, პროექტით დაგეგმილი ცვლილება მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას არ ითვალისწინებს.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ავტობანის გზის გაყოლებაზე და გამოირჩევა ხმაურით, რომელიც გამოწვეულია იქ არსებული ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლით. შესაბამისად, ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის და პროექტის განხორციელება ვერ შეცვლის არსებულ გარემოს.

6.3 ჩამდინარე საწარმოო, სამეურნეო და სანიაღვრე წყლების მართვა

ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია სველი წერტილი, რომელიც დაერთებულია სპეციალურად მოწყობილ მიწისქვეშა საასენიზაციო ორმოსთან. ორმოს გაწმენდა ხდება დაგროვების შემდეგ, შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ.

სანიაღვრე წყლების მართვის პროცესი ხორციელდება, ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილი შესაბამისი ჭებით, რომელიც დაერთებულია ავტობანის ტერიტორიაზე გამავალ სანიაღვრე ქსელთან. ხოლო, რაც შეეხება უშუალოდ ნავთობპროდუქტების გაცემის უბანს, აქ სანიაღვრე წყლების მოხვედრა არ მოხდება, იქ არსებული კაპიტალური გადახურვის გამო. ხოლო ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში, მისი შეკრება მოხდება ნავთობპროდუქტების დამჭერში, რომელიც მოწყობილი იქნება პროექტის ცვლილების ეტაპზე. დაგროვილი ნარჩენის გატანა მოხდება დაგროვების შემდეგ, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ. კომპანიას ამ ეტაპზე უკვე აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შპს „სანიტართან“, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ობიექტებზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანას.

6.4 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

ავტოგასამართი სადგურისთვის განკუთვნილი მიწისქვეშა რეზერვუარების ქვეშ მოეწყობა ჰიდროსაიზოლაციო ფენა. კერძოდ კი, 15 სმ სისქის მქონე ქვიშის ფენა, რომელიც დაფარული იქნება გუდრონით. რეზერვუარის საძირკვლის ასეთი ტიპის ფენით მოწყობა მინიმუმადე ამცირებს რეზერვუარის საძირკვლის ქვეშ არსებული გრუნტის დაბინძურების და შესაბამისად ამასთან დაკავშირებული ნეგატიური ზემოქმედების რისკებს.

გარდა ამისა, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონებულია, რაც ასევე გამორიცხავს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურების ალბათობას.

გარდა ამისა, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩოლაბური ობიექტიდან დაშორებულია 235 მეტრით, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ზედაპირულ წყალზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.5 ფუჭი ქანების წარმოქმნა და მისი მართვა

ობიექტის მოწყობის პროცესში, კერძოდ კი რეზერვუარებისთვის შესაბამისი ღრმულების მოწყობის ეტაპზე, მოსალოდნელია ფუჭი ქანების წარმოქმნა. ღრმულებიდან ამოღებული მიწა, დროებით დასაწყობდება იქვე და გატანილი იქნება ტერიტორიიდან მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ

ტერიტორიაზე, ან ასევე, მუნიციპალიტეტის მითითებით შესაძლებელია მისი გადაცემა მოხდეს სამშენებლო კომპანიებისთვის, მიწის ვაკისების ან/და დრმულების ამოსავსებად.

6.6 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

გაზგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის განხორციელება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მასზე ზემოქმედებას არ ითვალისწინებს.

ამასთანავე, დაგეგმილი პროექტი იმ ტერიტორიების ათვისებას, სადაც კომპანიის მიერ მოწყობილია მწვანე გაზონი არ საჭიროებს.

6.7 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ტერიტორიის დათვალიერებით და ვიზუალური შეფასებით, არც საპროექტო ტერიტორიაზე და არც მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება. შესაბამისად, მასზე ობიექტის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.8 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

არსებული ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი მცირე მასშტაბის მოწყობითი სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სამშენებლო მასალების და მუშახელის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ასფალტირებული საავტომობილო გზები. შედეგად გზების საფარის დაზიანება სატრანსპორტო ნაკადების ზრდის შემთხვევაში მოსალოდნელი არ არის.

პროექტის მცირე მასშტაბიდან გამომდინარე და სატრანსპორტო ნაკადების ფონური ინტენსივობის გათვალისწინებით, ადგილობრივ გზებზე გადაადგილების შეზღუდვა (ე.წ. საცობების წარმოქმნა) ნაკლებად მოსალოდნელია. ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ავტოტრანსპორტის გამოყენება საჭირო იქნება საწვავის რეზერვუარების შევსების სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად მოძრაობა არ იქნება ინტენსიური და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება ასევე მოსალოდნელი არ არის.

6.9 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

6.9.1 საყოფაცხოვრებო ნარჩენები

ობიექტის ტერიტორიაზე ამჟამადაც და ცვლილების განხორციელების შემდეგაც მოსალოდნელია ისეთი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, როგორცაა პერსონალის კვებითი ნარჩენები. აღნიშნული ნარჩენებისთვის ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია შესაბამისი ურნები. ნარჩენების

გატანა ხდება დაგროვების შედეგად, შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6.9.2 რეზერვუარების და საწვავის გაცემის წერტილების მოწყობის პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები

არსებულ გაზგასამართ სადგურზე, ახალი საწვავის რეზერვუარების, დამაკავშირებელი მილსადენის და საწვავის წერტილების დამატების პროცესში მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. კერძოდ კი, რეზერვუარების და მილსადენების ღრმულების მოწყობის პროცესში მოსალოდნელია ფუჭი ქანების წარმოქმნა, რომლის მართვაც მოხდება ნარჩენების მართვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებული პრობების შესაბამისად. იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი ცვლილება არ არის დაკავშირებული მასშტაბურ სამუშაოებთან, ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენების უკანონო გაფანტვას ან/და დასაწყობებას ადგილი არ ექნება.

6.9.3 სახიფათო ნარჩენები

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ობიექტის ფუნქციონირების პროცესში, მოსალოდნელია ისეთი სახის ნარჩენების წარმოქმნა, როგორცაა უკვე არსებული გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ზეთის ნარჩენები ზეთშემკრებიდან და ამას დაემატება ნავთობპროდუქტების ნარჩენები ნავთობშემკრები ავზიდან. გარდა ამისა, ამ ეტაპზეც და შემდეგაც მოსალოდნელია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრების, ხელთათმანების და სხვა საწმენდი საშუალებების წარმოქმნა.

ასეთი სახის სახიფათო ნარჩენებისთვის კომპანიას მოწყობილი აქვს მეტალის კარადა, შესაბამისი გადახურვით და მარკირებით, რომელიც ადჭურვილია ასევე მარკირებული ურნებით. დაგროვილი ნარჩენების გატანა ხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.



სურ. N18 - სახიფათო ნარჩენების განთავსების უბანი

6.10 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად უკვე ფუნქციონირებს ავტო გაზგასამართი სადგური. აღნიშნული გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის შპს „ნეოგაზს“ უკვე მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2019 წელს შეთანხმებული აქვს კანონით დადგენილი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია.

არსებული ობიექტიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის სტაციონალურ წყაროებს წარმოადგენენ: თხევადი აირის მიღების და გაცემის წერტილები, ბუნებრივი აირის გაცემის წერტილები და ასევე კომპრესორები (კომპრესორების მექანიკური შეზეთვა).

6.10.1 არსებულ გაზგასამართ სადგურზე გაფრქვევის წყაროების დახასიათება

გაფრქვევები ბუნებრივი აირის გამართვის სვეტებიდან (გ-1, გ-2, გ-3 და გ-4)

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტს გააჩნია ბუნებრივი აირის გამართვის 2 სვეტი, ჯამურად 4 „პისტოლეტით“. ოთხივე პისტოლეტი წარმოადგენს გაფრქვევის სტაციონალურ წყაროს და კვალიფიცირდება, როგორც: გ-1, გ-2, გ-3 და გ-4 წყაროები.

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა მეთანი, რომელიც წარმოადგენს აქ გამოყენებული ბუნებრივი საწვავი აირის შემადგენლობის 90 %-ზე მეტს.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის უმთავრესი წყაროა „პისტოლეტის“ განქრევის მილი, რომლიდანაც ხდება ავტოგაზგასამართი საკომპრესორო სადგურის გაწყობა-გამართვის სვეტის “პისტოლეტის” განქრევა. იგი საწვავი აირის გაფრქვევის ორგანიზებული წყაროა.

დეტალური გაანგარიშებები აღნიშნული წყაროების მიერ ემისიების გაფრქვევებთან დაკავშირებით მოცემულია სამინისტროსთან შეთანხმებულ ატმოსფერული ჰაერის დოკუმენტაციაში.

ჯამურად კი, ბუნებრივი აირის გასამართი ორივე სვეტის, ოთხივე „პისტოლეტიდან“ წლის განმავლობაში ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მეთანი და ეთილმერკაპტანი. მეთანის გაფრქვევის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 18 104-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0,747-ს.

ეთილმერკაპტანის გაფრქვევის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,0004-ს, ხოლო მისი წლიური ემისია 0,000017-ს.

გაფრქვევები გაზის კომპრესორების მუშაობისას (გ-5)

გაზის კომპრესორების გამართული მუშაობისთვის საჭიროა მისი მექანიკური დეტალების შეზეთვა. შეზეთვის დროს ზეთის გარკვეული რაოდენობა ჩაედინება საკომპრესოროში მოწყობილ ზეთდამჭერში, ხოლო ნაწილი ორთქლდება. შესაბამისად, აორთქლების შედეგად წარმოიქმნება გაფრქვევის წყარო 5. გაფრქვევის წყარო 5-დან ემისიების სახით გაიფრქვევა:

- ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,114-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 1,624-ს.

ემისიები ზეთშემკრებიდან (გ-6)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ზეთდამჭერის სასუნთქი სარქველი, საიდანაც ატმოსფეროში გაიფრქვევა:

- ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 6 933E-10-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.0000219-ს.

ემისიები თხევადი აირის რეზერვუარში ჩატვირთვისას (გ-7)

ობიექტზე შემოტანილი თხევადი გაზის რეზერვუარებში ჩატვირთვისას ადგილი აქვს ემისიების გამოყოფას. თხევადი გაზის ჩატუმბვა რეზერვუარში ჰერმეტიკულად ხორციელდება, თუმცა ემისიები გამოიყოფა გადატუმბვის დასრულების შემდეგ, რეზერვუარისა და ავტომანქანის შემაერთებელი შლანგის მოხსნისას.

ამრიგად, თხევადი გაზის რეზერვუარებში ჩატვირთვის დროს ადგილი აქვს შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას:

- გოგირდწყალბადი, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,000955, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.00000032-ს;
- ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 25,45692-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.000861462-ს;
- ამილენები, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 1,796958-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.000060809-ს;
- ეთილმერკაპტანი რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,005804-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.000000196-ს.

ემისიები თხევადი აირის სატუმბის მუშაობისას (გ-8)

ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისია შესაძლებელია გავრცელდეს სატუმბი და საკომპრესორო მოწყობილობებიდან. თხევადი გაზის გადატუმბვები ხორციელდება ჰერმეტიკულად. ემისიას ადგილი აქვს მუშაობის პროცესში მხოლოდ ტუმბოს ჩობალური სამკვრივებლიდან, საიდანაც ადგილი აქვს შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას:

- გოგირდწყალბადი, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,000002-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0,000002-ს;
- ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0.059500 -ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.059500-ს;
- ამილენები, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,004200-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0,004200-ს;
- ეთილმერკაპტანი რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0.000014 - ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.000014 -ს.

ემისიები თხევადი აირის მანქანებში ჩატვირთვისას (გ-9, გ-10)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ემისიების გაფრქვევას ადგილი აქვს თხევადი აირის ავტომანქანებში ჩატვირთვისას.

თხევადი გაზის დისპენსერს გააჩნია ორი „პისტოლეტი“. შესაძლებელია 2 ავტომანქანის ბალონის ერთდროულად შევსება (გ-9, გ-10). მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა იდენტურია ხოლო ტ/წელი

გაყოფილია ორზე. თხევადი აირის მანქანებში ჩატვირთვისას ადგილი ექნება შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას:

- გოგირდწყალბადი, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0,0000209-ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0,0000001-ს;
- ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0.5581704 -ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.0023028-ს;
- ამილენები, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0.0394003 -ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.0001625-ს;
- ეთილმერკაპტანი რომლის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია (გრ/წმ) შეადგენს 0.0001273 - ს, ხოლო წლიური ემისია (ტ/წელ) 0.0000005-ს.

სულ წლის განმავლობაში ავტოგაზგასამართი სადგურის ფუნქციონირების შედეგად გაფრქვეული მავნე ნივთიერებების სახეობების და რაოდენობა მოცემულია ცხრილში **N4**.

ცხრილი N 4 - ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები

N	მავნე ნივთიერების დასახელება	სულ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა
1	გოგირდწყალბადი	0.000002332
2	მეთანი	2.988
3	ნაჯერი ნახშირწყალბადები C1-C5	0.064967062
4	ამილენები	0.004585809
5	ეთილმერკაპტანი	0.000083196
6	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	1.6240219

ნავთობპროდუქტების რეზერვუარების და სვეტწერტილების დამატების შემთხვევაში არსებულ გაფრქვევას დაემატება ემისიები ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემისას და ნავთობდამჭერიდან. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შესაბამის თავში.

6.10.2 ემისიების სახეები და რაოდენობები დაგეგმილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარის და გაცემის წერტილების ფუნქციონირებისას

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ისეთი მავნე ნივთიერებების გამოყოფა, როგორცაა: ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადები, ბენზოლი, ქსილოლი, ამილენი, ტულუოლი და ეთილბენზოლი.

ობიექტზე არსებულ გაფრქვევის წყაროებს დამატება გაფრქვევები საწვავის მიღებისას და გაცემისას, კერძოდ, ავტომანქანების ბაკში ჩასხმისას და ასევე ნავთობდამჭერიდან. შესაბამისად, წარმოიქმნება გაფრქვევის შემდეგი წყაროები:

- ემისიები რეზერვუარებში ღიზელის საწვავის მიღება-შენახვისას (გ-11);
- ემისიები ღიზელის საწვავის გაცემისას (ავტომანქანებში ჩატვირთვისას) (გ-12);
- ემისიები ბენზინის საწვავის მიღება-შენახვისას (გ-13, გ-14, გ-15);
- ემისიები ბანზინის საწვავის გაცემისას/ავტომანქანებში ჩატვირთვისას (გ-16, გ-17, გ-18);

აღნიშნული გაფრქვევის წყაროებიდან წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობები მოცემულია ცხრილი N5.

ცხრილი N5 - ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები

მავნე ნივთიერებათა		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ტ/წელ
კოდი	დასახელება	
501	ამილენი	0,102
627	ეთილბენზოლი	0,00206
415	ნაჟ, ნახშირწყ, C ₁ – C ₅	3,070
416	ნაჟ, ნახშირწყ, C ₆ – C ₁₀	0,747
602	ბენზოლი, C ₆ H ₆	0,080
616	ქსილოლი	0,0062
621	ტოლუოლი	0,059
2754	ნაჟ, ნახშირწყ, C ₁₂ – C ₁₉	0,010
333	გოგირდწყალბადი	0,00002

ავტო გაზგასამართ სადგურზე, ნავთობპროდუქტების წერტილების დამატების შემთხვევაში ობიექტიდან სულ წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში N6, ხოლო სიტუაციური რუკა გაფრქვევის წყაროების მითითებით წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი N2).

მიღებული ანალიზის შედეგებით ობიექტიდან წლის განმავლობაში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა უმნიშვნელოა და კანონით დადგენილ ნორმებზე გადაჭარბებას არ გამოიწვევს. ამასთან, დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში, მოსახლეობის 1000 მეტრიანი დაშორების გათვალისწინებით ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ამასთანავე, ნავთობპროდუქტების გაცემის წერტილების დამატების შემთხვევაში მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენილი იქნება ობიექტის „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების“ პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ობიექტის ჯამური გაფრქვევები და დეტალური ინფორმაცია გაფრქვევის გაანგარიშების შესახებ.

ცხრილი N6 - ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები

N	მავნე ნივთიერებათა დასახელება	სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ტ/წელ
1	ნაჯ, ნახშირწყ, C6 – C10	0,747
2	ბენზოლი, C6H6	0,080
3	ქსილოლი	0,0062
4	ტოლუოლი	0,059
5	მეთანი	2.988
6	ეთილმერკაპტანი	0.000083196
7	ამილენი	0.106585809
8	ეთილბენზოლი	0,00206
9	ნაჯ, ნახშირწყ, C ₁ – C ₅	3.134967062
10	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	1.6340219
11	გოგირდწყალბადი	0.000022332

6.10.3 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა.

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელება, კერძოდ ობიექტისა და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე.

თუმცა, ამ ეტაპზე, ობიექტის უშუალო გავლენის ზონაში (300 მეტრიან რადიუსში) სხვა საწარმოო ან/და მსგავსი ტიპის საწვავ გასამართი ობიექტები არ მდებარეობს და ასევე არ მიმდინარეობს რაიმე სახის

საწარმოო ობიექტის მოწყობის პროცესი, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირება კუმულაციურ ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტი მდებარეობს ავტომაგისტრალთან, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო და საქალაქთაშორისო დანიშნულების გზას და გამოირჩევა ინტენსიური მიმოსვლით, რაც თავისთავად ხმაურის და მტვრის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაური და ასევე გაფქრვეული მავნე ნივთიერებები გზასთან მიმართებაში უმნიშვნელო ხასიათისაა და კანონით დადგენილი ნორმების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

7. დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

მის (უბრთა ქონება) საკადასტრო კოდი **N 32.03.34.139**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020609119 - 02/09/2020 12:43:43შომზადების თარიღი
02/09/2020 21:59:21

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
შესტაფონი	ქვედა საქარა			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუშავებელი ფართობი: 7373.00 კვ.მ.
32	03	34	139	ნაკვეთის წინა ნომერი: 32.03.07.993 ;
მისამართი: რაიონი შესტაფონი , სოფელი არღვეთა				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალიN 01/1, N 02/1, N 03/1, N 04/1, N 05/1, N 06/1, N 07/1, N 08/1, N 09/1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016831938 , თარიღი 01/12/2016 16:36:51
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/12/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასცილობის ხელშეკრულება N090490049 , დამოწმების თარიღი:10/09/2009 ,ნოტარიუსი მ. ფარჯიკია
- შპს "სი-ენ-ჯი" პარტნიორის ღრუბის ოქმი. N140310372 , დამოწმების თარიღი:31/03/2014 ,ნოტარიუსი დ. იმნაძე
- შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია" -ს პარტნიორის კრების ოქმი. N140308307 , დამოწმების თარიღი:31/03/2014 ,ნოტარიუსი ნ. გრძელიძე

მესაკუთრეები:

შპს ნეოგამი , ID ნომერი:405037213

მესაკუთრე:

შპს ნეოგამი

აღწერა:

იპოთეკა

რეგისტრირებული ბრძანის

ფინიკრი პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალური მფლობელობის, პირდაპირ საგადასახადო წესის განხორციელებისას 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ხაზგაშორებულ მფლობელობის საშუალოდ გადამხადი გადახდის ვალდებულება საინფორმაციო წესის მომხმარებელი წესის 1 პარაგრაფში აღნიშნული ფინიკრი პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეკრულებულია წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივ დავას, რაც იწვევს პის ქონებულების საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით.


- დეკლარაციის ნაწილობრივ განხორციელება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერაცოროდ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლში ან სააგენტოს აცტორშიველ პარეზონი;
- ამონაწერში გვენიკრი ხარევის აღმოჩენის შესახევეამი დავე კავშირდოთ: 2 405405 ან პირდაპირ შეაქმეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელია მზადან უკანონო ქმელების შესახევეამი დავე კავშირდოთ ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკომხონს დეკავშირდოთ მოგვეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

8. დანართი 2 - საწარმოს განთავსების გენ.გეგმა გაფრქვევის წერტილების მითითებით

9. დანართი 3 - საწარმოს განთავსების სიტუაციური რუკა მანძილების ჩვენებით



10. დანართი 4 - საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



- 01/1 – საოფისე შენობა
- 02/1 – საკომპრესორო
- 03/1 – სველი წერტილები
- 04/1 – დამზარე ნაგებობა
- 05/1 – ელ. ენერჯის სატრანსფორმატორო ჯიხური
- 06/1 – სახიფათო ნარჩენების ტერიტორია
- 07/1 – თხევადი აირის გამართვის რეზერვუარი და სვეტი
- 08/1 – G/G - თხევადი აირის გამართვის არსებული სვეტები გადახურვით, P/P ნაფილპროდუქტების საპროექტო საწვავის სვეტები გადახურვით
- 09/1 - საპროექტო, საწვავის რეზერვუარების ტერიტორია

11. დანართი 5 - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია



საქართველო

საქართველოს ბარემოსა და გუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბარემოს პროვინციული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1004936

2017 წლის „ 02 “ „ ქობულეთი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეგისტრში გატარების თარიღი)

გაცემულია — შპს „ნეოტაში“-ში,
ს/კ 405 037 213;
(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: _____

სსიპ ბარემოს პროვინციული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 02 ქობულეთის №1569/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: _____

გმსტაშონის მუნიციპალიტეტი, ს/უ. არავეთის ტერიტორიაში,
მიწისქვეშა პანარა წყალი (სამწარმეო დანიშნულებით);
K-38-82-ჩ-6 ნომენკლატურის ტოპოგრაფი (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და საპროპიანაკუთხის ფართობი - 0,07 კა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

მინისკვება მტკნარი წყლის (სამწარმოო დანიშნულების) მოპოვება -
- წელიწადში 7 200 კუბური მეტრი;

სალიცენზიის პირობები: _____

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 02
ოქტომბრის №1569/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 25 წელი, 02.10.2017 დან 03.10.2042მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“
უფლებამოსილი წარმომადგენელი



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებზე.

(ბელმოწერა)
ბ.ა

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ტერა“
სფს-ს რეგისტრაციის № 23-4000

12. დანართი 6 - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-26

11/01/2021

ქ. თბილისი

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავის
ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

2020 წლის 2 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „ნეოგაზის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთში შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ ბუნებრივის აირის საცავის ფუნქციონირებაზე გაიცა №71 (11.10.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2014 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციაზე“ გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „სი-ენ-ჯის“, ხოლო 2015 წელს, კომპანიის სახელწოდების შეცვლის შედეგად ზემოაღნიშნული ნებართვა გაიცა შპს „ნეოგაზზე“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზმ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2010 წლის №71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბრის №ი-533 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით

იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2010 წლის №71 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შპს „ნეოგაზის“ ბუნებრივი აირის საცავის ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №71; 11.10.2010);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბრის №ი-533 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნეოგაზს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნეოგაზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი